



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



ოქმი: 65.6521228001

თარიღი: 16/08/2021

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 14

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 14.08.2021 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **გიორგი ივანიაძე**.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი: – გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, მალხაზ ცერცვაძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერი ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, ტარიელ ბარამიძე, შალვა ლორთქიფანიძე, გია ოჩხიკიძე.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი - **კობა მაღლაკელიძე**.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში-**ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი- **ზვიად კაპანაძე**.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 15⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „Ad Georgia“-სთვის (ს/კ 404987788) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელი: ზვიადი კაპანაძე

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.253) შპს „ბიგბორდი“-სთვის (ს/კ 405182305) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 6 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელი: ზვიადი კაპანაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 29

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიადი კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „Ad Georgia“-სთვის (ს/კ 404987788) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს თანხმობას ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე მდებარე 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „Ad Georgia“-სთვის იჯარით, 3 თვის ვადით გადაცემაზე; იჯარის ღირებულება განისაზღვრება 100 ლარის ოდენობით;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე - 29

წინააღმდეგი - არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის

მერისთვის, ქ. ვანში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N2-ის წინ მდებარე 3 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.431) შპს „Ad Georgia“-სთვის (ს/კ 404987788) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 3 თვის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“

განკარგულება გ-65.65212251

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.253) შპს „ბიგბორდი“-სთვის (ს/კ 405182305) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 6 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს თანხმობას ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე რიგი-რიგის მიწის ნაკვეთის შპს „ბიგბორდი“-სთვის იჯარით, 6 წლის ვადით გადაცემაზე; იჯარის წლიური ღირებულება განისაზღვრება 365 ლარით.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 29

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.30.253) შპს „ბიგბორდი“-სთვის (ს/კ 405182305) იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, 6 წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“.

განკარგულება N გ-65.65212252

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

